საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 520-02
21/03/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლიდან აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარების ვადის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლის** აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 24 მარტს, 11:00 საათიდან 12:00 საათამდე (მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, ოთახი E301);
2. ბიზნესის სკოლის დეკანს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალისა და საბჭოს წევრ სტუდენტთათვის;
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის სკოლას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი